ფეისბუქი როგორც სუბკულტურული სივრცე

თამარ ცინცაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა ჟვანია, ასისტენტ-პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

სოციალური ქსელები, თანამედროვე ინდივიდების ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. თუმცა ეს სივრცე არ არის სიღრმისეულად შესწავლილი სოციოლოგიური პერსპექტივიდან. წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, არსებობს ორგვარი მიდგომა სოციალურ ქსელ ფეისბუქის მიმართ საქართველოში. ერთი მიდგომის თანახმად, ფეისბუქი ახალი სუბკულტურაა, ჩამოყალიბებული წესებით და ნორმებით, ხოლო ამ ჯგუფის წევრები, არაცნობიერ დონეზე ახდენენ ამ ნორმებთან ადაპტაციას და გრძნობენ გარკვეულ იდენტობას ამ ქსელთან. მეორე ჰიპოთეზის მიხედვით კი ფეისბუქი მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია, რომელსაც მისი წევრები გაცნობიერებულად, სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ და არანაირ კულუტურ იდენტობას არ განიცდიან. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე მიდგომა მუშაობს ჩვენს საზოგადოებაში და ეს დებულებები რელევანტურია ფეისბუქის სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთათვის. კვლევის ფარგლებში ასევე მოხდა ფეისბუქის ქართველი მომხმარებლის ქცევის და დამოკიდებულების გარკვეული ნიშნების შესწავლა და მათი კლასიფიკაცია სამ ტიპად.